

ააავადა და ხოდარ ჯავახიძის ძირ „ალიაში“ პროგნოზირებული ინფლაციის პროცესიც დაუმატეთ, რაც პრეზიდენტის პიარპროგრამების ფარგლებში, ხალხში უაზროდ გატყორცნილ ფულის დიდ მასას მოჰყვა და პროდუქტებზე

ძეძხვევაში, ყველაფერ“ ე ფასები იკლებს. აი, ჩვენთან კი, ყვე. კერიპირიქითაა. მაგალითად, მოიმატა ბენზინისა და დიზელის ფასმა? მეორე დღესვე მძლოლები მგზავრობას აძვირებენ, სურსათსა და პირველადი მოხმარების პროდუქტებზე ფასები იზრდება, მაგრამ

რომ უაღლოეს ავიოიოდი იფიზისა და დიზელზე ფასების კატასტროფულ ზრდას არ უნდა ველოდით, მაგრამ ეს სამარშრუტო ტაქსების მძლოლებს აღარ აინტერესებთ. მათ უკვე დიდი ხანია ესმით, რომ საერთაშორისო ბაზარზე სანავი გაძვირდა და ისიც დაინახეს, რომ

ლერა“ უსთავლესოა თუნიციალოური ტრა რტით მგზავრობას აირჩევს, „მარშრუტებს“ მგზავრები მოაკლდება და სავარაუდოდ, თბილისის დარჩენილი ქუჩებიდან სამარშრუტოები ისევე გაქრებიან, როგორც რუსთაველიდან და ჭავჭავაძის გამზირიდან გაქრეს.

გახდე. თუ ამ პროცედურას არ გაივლი, ადასტურებ, რომ ნარკომანი ხარ. ამასთანავე, თუ არ გაივლი შემონშებას გამოიწვევს სანქციებს. მომავალი პარლამენტის წევრიც ვერ გახდები, — აღნიშნა გუგავამ.
(პირველი, ინტერვიუსთვის)

ჩინელებს, ბელგიელებსა და იტალიელებს სასამართლოში უჩივლეს

ქართული ტყეების ბედი მალე გაირკვევა

ახალი ამბები

რისთვის შავიდა შამბა თურქეთში?

(გოგაშვილი) აფხაზეთის ე. წ. საგარეო საქმეთა მინისტრი თურქეთში ვიზიტს და იქ მცხოვრები აფხაზური დისპორის წარმომადგენლებთან შეხვედრებს განაგრძობს. შამბა სოხუმში ივანის დაბრუნდება.

სერგეი შამბას მოადგილის მაქსიმ ლეიზის თქმით, მინისტრის ვიზიტის მიზანი აფხაზეთის ფარგლებს გარეთ მაცხოვრები აფხაზი თანამშემოლეების ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებაა.

მისივე ინფორმაციით, მხოლოდ 2007 წელს აფხაზ თანამშემოლეთა 400-ზე მეტმა მიიღო აფხაზეთის რესპუბლიკის პასპორტი. 300 ოჯახზე მეტი კი აფხაზეთში გადავიდა საცხოვრებლად.



სახალხო დამცველმა, სოხარ სუბარმა რეკომენდაციით მიმართა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს, ირაკლი ლვალაძეს და ტყით გრძელვადიანი სარგებლობის მიზნით, ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიების გაცემასთან დაკავშირებით, 2007 წლის 1 მაისს ჩატარებული აუქციონის შედეგების გაუქმება მოითხოვა. სუბარი მიიჩნევს, რომ აუქციონი საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით ჩატარდა.

»»» **მაია მიშელაძე**
21-21-80 (132)

ვითარებაში რომ გაგარკვიოთ, ზუსტად ერთი წლის წინათ გამართულ აუქციონზე, რომლის პარალელურად გარემოსდამცველთა საპროტესტო აქცია მომდინარეობდა, გაიყიდა ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიები, რომლებიც 20 წლის ვადით გადაეცათ ქართულ-ჩინურ კომპანია „ჯორჯია ვუდ ენდ ინდუსტრია დეველოპმენტს“, ქართულ-ბელგიურ ფიზიკურ პირ „ემილ რეინირს“ და ქართულ-იტალიურ შპს „საქართველოს ხე-ტყის მრეწველობის კომპანიებს, სამეგრელო-ზემო სვანეთის, ახალციხისა და ყვარლის სატყეო უბნებში. ომბუდსმენი მიიჩნევს, რომ დაირღვა კანონმდებლობის ის პუნქტები, რომლებიც უზრუნველყოფენ მო-

ქალაქეთა უფლებას, მონაწილეობა მიიღონ ისეთი გადაწყვეტილების პროცესში, რომლებსაც უშუალო ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ მათ საცხოვრებელ გარემოზე.

პირველად განგამის ზარი ასოციაცია „მწვანე ალტერნატივამ“ შემოჰკრა და 2007 წლის 7 ნოემბერს ამ ლიცენზიების გაცემის კანონმდებლების საკითხის შესწავლის თხოვნით სახალხო დამცველს მიმართა. სუბარმა ეს საკითხი შეისწავლა და როგორც უკვე აღვნიშნეთ, წერილობით დაადასტურა კიდევ, რომ კანონმდებლობა ამკარად დაირღვა.

„ალიასთან“ საუბრისას „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელმა, ირაკლი მაჭარაშვილმა აღნიშნა, რომ ლიცენზიების გაუქმების მოთხოვნით მათ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მი-

მართეს. მართალია, სასამართლო პროცესი ჯერაც არ გამოართულა, მაგრამ ირაკლი მაჭარაშვილმა აცხადებს, რომ პროცესი 7 ნოემბრის მოვლენების გამო გაჯანჯლდა. სასამართლოში „მწვანე ალტერნატივას“ ინტერესებს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია იცავს. „ლიცენზიებით გაცემული სატყეო კვარტალები მალევე კონსერვაციული ღირებულებების მქონე ტყეებია. ამ ტერიტორიების შენარჩუნების აუცილებლობის შესახებ საქართველოს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში ათასობის ნაშრომი შექმნილია. გარდა ამისა, ხე-ტყის დამზადებისთვის გაცემული ათეულობით ჰექტარი მიწა იმ ტერიტორიებს შორისაა, რომელთა დაკონსერვების



შესახებ რეკომენდაცია ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის საპროგრამო ოფისმა ჯერ კიდევ 2006 წელს მიასწოდა. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ამ რეკომენდაციის თანახმად, ტყის რესურსებით მდგრადი სარგებლობის უზრუნველსაყოფად არ უნდა მოხდეს მალაჩი გარემოსდაცვითი ღირებულების მქონე ტყეების გადაცემა მართვისა და სარგებლობისთვის სხვადასხვა სუბიექტებზე, — აღნიშნა „ალიასთან“ საუბრისას ირაკლი მაჭარაშვილმა.

რა გადაწყვეტილებებს გამოიტანს სასამართლო, მალე გაირკვევა. ისე კი, არის ეჭვი, რომ სახელისუფლებო წრეებიდან ლობიორებულ საქმეების მოგების შანსი მინიმალურია, რადგან ამ კომპანიების უკან სწორედ ხელისუფლების წევრებს მოიაზრებენ.

A-99